**არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი მიმართვა საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს**

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მენეჯმენტის მიერ ბოლო პერიოდში გადადგმული ნაბიჯები აშკარად ტელევიზიის კრიტიკული სარედაქციო დამოუკიდებლობის ჩახშობასა და კრიტიკულად განწყობილი თანამშრომლების დევნას ემსახურება. განსაკუთრებით თვალშისაცემია ის გარემოება, რომ დაანონსებული რეორგანიზაციის პროცესის გაჭიანურების ფონზე, მენეჯმენტი კრიტიკულად განწყობილი თანამშრომლების შევიწროების ახალ ეტაპზე გადავიდა, რომელსაც გარკვეული ცვლილებების საჭიროებებით ხსნის, ამ ცვლილებებს კი მრჩეველთა საბჭოს მხოლოდ 3 წევრის თანხმობა სჭირდება. საბჭოში „ქართული ოცნების" კვოტით არჩეული 3 მრჩევლის არსებობის პირობებში კი ცვლილებები, სამწუხაროდ, შესაძლოა, დაუბრკოლებლად დამტკიცდეს.

როგორც მაუწყებლის ახალი ამბების რედაქციში აცხადებენ, ტელევიზიის დირექტორმა, გიორგი კოხრეიძემ მმართველმა საბჭოს წარუდგინა ცვლილებების პროექტი, რომლის თანახმად, მმართველ საბჭოში შემავალი სამსახურის უფროსების მოადგილეების შტატი უქმდება, შესაბამისად, გაუქმდება მენეჯმენტის მიმართ კრიტიკულად განწყობილი საინფორმაციო სამსახურის უფროსის მოადგილის, მაია მერკვილაძის შტატიც. ამასთან, ცნობილი გახდა, რომ მენეჯმენტმა დისციპლინური საქმისწარმოება დაიწყო სამსახურის უფროსის, შორენა ღლონტის მიმართაც, ყოველდღიური გადაცემა „ჰეშთეგის" წამყვანს, მალხაზ რეხვიაშვილს კი, მენეჯმენტის აზრით, არ აქვს უფლება წამყვანის მოვალეობა შეასრულოს, რადგან ახალდაფუძნებული ალტერნატიული პროფესიული კავშირის თავმჯდომარე გახდა.

ამ ცვლილებების პროექტის წარდგენას წინ უძღოდა დირექტორის ყოფილი მოადგილის, ნათია ზოიძის წასვლა მაუწყებლიდან, რაც „რეპორტიორებმა საზღვრის გარეშე" პოლიტიკურ შეწოლად შეაფასა. ნათია ზოიძის წინააღმდეგ დირექტორმა პროკურატურას განცხადებით მიმართა, შემდეგ კი სამართლებრივი უსაფუძვლობის გამო განცხადება გამოიხმო, ამასთან, ახალი ხელშეკრულება გაუფორმა და ჩამოაშორა სარედაქციო პოლიტიკის წარმოების კოორდრინაციის პროცესს და პრაქტიკულად უფუნქციოდ დატოვა. აღნიშნული ქმედება აშკარად მიკერძოებულ და უსამართლო, პოლიტიკურად მოტივირებულ ხასიათს ატარებდა.

ჩვენ, აჭარაში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები, კატეგორიულად ვგმობთ მაუწყებლის დირექტორის მიერ წარმოებულ საკადრო პოლიტიკას - ხაზს ვუსვამთ, რომ ამგვარი ნაბიჯები ეწინააღმდეგება საზოგადოებრივი მაუწყებლის იდეას, მაუწყებლის სარედაქციო დამოუკიდებლობას და აშკარა პოლიტიკურ რევანშისტულ შინაარსს ატარებს იმ პირების მიმართ, რომელთა კოორდინირებული მუშაობით იქმნებოდა და იქმნება მაუწყებლის კრიტიკული სარედაქციო პოლიტიკა, რაც სასიცოცხლოდ აუცილებელი რეგიონსა და ზოგადად, ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების მხარდაჭერისთვის და ხელისუფლების ანგარიშვალდებულების დონის ასამაღლებლად. განსაკუთრებით სასიცოცხლოა ამგვარი სარედაქციო პოლიტიკის წარმოება მოახლოებული, უმნიშვნელოვანი საპარლამენტო არჩევნების წინ.

მოვუწოდებთ საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს, ყურადღებით დააკვირდნენ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს ირგვლივ მიმდინარე მკვეთრად ნეგატიურ პროცესებს და გამოიყენეთ თქვენს ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობა რათა პროცესები არ გასცდეს დემოკრატიულ ჩარჩოებს.

**ხ ელმომწერი ორგანიზაციები:**

1) საზოგადოებრივი განვითარების აკადემია
2) თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი
3) სამართლიანი არჩევნები
4) დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი
5) სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
6) აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის